

საია ბათუმში მომხდარი
არასათანადო მოპყრობის
ფაქტის დროულ
გამოძიებას ითხოვს



საია ბათუმში მომხდარი არასათანადო მოპყრობის ფაქტის დროულ გამოძიებას ითხოვს

2 აპრილს საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ქ. ბათუმში, კომენდანტის საათის დროს დაკავებული პირის [ისტორია](#), რომელშიც იგი პოლიციელთა მხრიდან ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე საუბრობს. აღნიშნულზე გამოძიება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა 4 აპრილს დაიწყო. საია, რომელიც დაზარალებულის ინტერესებს იცავს, მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოს, დროულად ჩაატაროს ეფექტიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიება სამართალდამცავი პირების ქმედებებში სავარაუდო დანაშაულის ნიშნების გამოკვეთისა და მათთვის პასუხისმგებლობის სათანადო ზომების დაკისრების მიზნით.

დაზარალებულმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელს 04 აპრილს დეტალური ჩვენება მისცა. მისი განმარტებით, 2020 წლის 02 აპრილს დაახლოებით 23:45 სთ-ზე სახლიდან აფთიაქში მედიკამენტის შესაძენად გამოვიდა. ერთ-ერთ აფთიაქში მან შესაბამისი მედიკამენტი ვერ იყიდა და ქუჩის მეორე მხარეს მდებარე აფთიაქში გადასასვლელად ნებართვა იმავე ქუჩაზე გაჩერებულ პოლიციის ეკიპაჟს სთხოვა. საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა სიტყვიერი თანხმობა მისცა, რის შემდგომაც მან გზა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მეორე აფთიაქისკენ განაგრძო. მალევე, მას ამავე ქუჩაზე მოძრავი საპატრულო პოლიციის სხვა ეკიპაჟი მიუახლოვდა. მანქანიდან პოლიციის ფორმაში ჩაცმული ორი და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ერთი პირი გადმოვიდა. ერთ-ერთმა პოლიციელმა მიმართა სიტყვებით: **„შენ სად მიდიხარ, არ იცი, რომ კომენდანტის საათია“** რაზეც მან განუმარტა, რომ წამლის შესაძენად აფთიაქში მიდიოდა და აღნიშნულზე სიტყვიერი თანხმობა პოლიციის სხვა თანამშრომლებისგან ჰქონდა. დაზარალებული იხსენებს, რომ პოლიციის თანამშრომლებმა აგრესიულად მიმართეს, რის გამოც მან მობილური ტელეფონით საუბრის გადაღება დააპირა. ამან პოლიციელების კიდევ უფრო მეტად გაღიზიანება გამოიწვია. ერთ-ერთმა პოლიციელმა ძალის გამოყენებით გამოართვა ტელეფონი და ხმამაღლა მიმართა დანარჩენ პოლიციელებს - „დავაი ჩატენეთ მანქანაში.“

შემდგომ, ძალის გამოყენებით დააგდეს ძირს და გაუკეთეს ხელბორკილები. მისი განმარტება, რომ ხერხემალზე ჰქონდა პრობლემები და თავად ჩაჯდებოდა მანქანაში, პოლიციელებმა არ გაითვალისწინეს და ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში. აღნიშნულ პროცესში მან მანქანის ძარას თავი რამდენჯერმე მიატყა. პოლიციელთა მხრიდან მის მიმართ ბენოლა მანქანაშიც გაგრძელდა. ერთ-ერთი პოლიციელი მუხლებით დაანვა თავზე, ასევე, ურტყამდა ხერხემლის არეში. ტრანსპორტირების დროს მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ბენოლის შედეგად მან განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. ტრანსპორტირებისას ასევე, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას იგი ე. ბათუმის პოლიციის მე-2 განყოფილებაში გადაიყვანეს, სადაც ასევე გაგრძელდა მისთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება.

პოლიციის განყოფილებაში იგი დაახლოებით 2 საათის განმავლობაში, ადვოკატის გარეშე იმყოფებოდა. მიუხედავად მისი მოთხოვნისა, მიეცათ შესაძლებლობა, დაკავშირებოდა ადვოკატს, პოლიციის თანამშრომლებმა უარი უთხრეს და განუმარტეს, რომ იყო კომენდანტის საათი და ადვოკატი ვერ მივიდოდა. პოლიციის განყოფილებიდან იგი დროებითი მოთავსების განყოფილებაში გადაიყვანეს, ტრანსპორტირებისას პოლიციელების მხრიდან მასზე დამატებით ფსიქოლოგიური ბენოლა და მუქარა განხორციელდა. იზოლატორში შეყვანისას მან დააფიქსირა, რომ სხეულზე არსებული დაზიანებები პოლიციელებმა მიაყენეს.

მეორე დღით იგი იზოლატორიდან ისევ პოლიციის მე-2 განყოფილებაში გადაიყვანეს. განყოფილებაში იმავე პოლიციელთაგან ერთ-ერთმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და თავის მოჭრით დაემუქრა. პოლიციის განყოფილებაში მას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის (173-ე) მუხლით შეუდგინეს და ბათუმის საქალაქო სასამართლოში გადაიყვანეს. ბათუმის საქალაქო სასამართლომ იმავე დღეს, ადვოკატის მონაწილეობის გარეშე განიხილა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



სამართალდარღვევის საქმე, იგი სამართალდამრღვევად ცნო და 1000 ლარით დააჯარიმა. პოლიციის თანამშრომლებმა მას საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის გამო 3000 ლარიანი ჯარიმაც შეუდგინეს.

საია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საგანგებო მდგომარეობა და დაწესებული შეზღუდვები ვერ გაამართლებს პოლიციელთა მხრიდან არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ჩადენას და პირის დაცვის უფლების გარეშე დატოვებას.

წამება, არაადამიანური თუ ღირსების შემლახავი მოპყრობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად აკრძალულ ქმედებას წარმოადგენს. არასათანადო მოპყრობის აბსოლუტური აკრძალვა იმდენად ფუნდამენტურია, რომ მას არ გააჩნია შეზღუდვები ან რაიმე გამონაკლისები. კონვენციის მე-15 მუხლი, რომელიც საგანგებო მდგომარეობის დროს უფლებების შეზღუდვის საკითხს არეგულირებს, ცალსახად ადგენს, რომ დაუშვებელია კონვენციის მე-3 მუხლიდან გადახვევა ნებისმიერ დროს. შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის დროსაც, წამების აკრძალვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს აკისრებს ნეგატიურ ვალდებულებას - თავი შეიკავონ არასათანადო მოპყრობის ჩადენისგან და მეორეს მხრივ, პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში, სახელმწიფოს ავალდებულებს, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობასთან კოორდინაციით განისაზღვრა პროფესიული საქმიანობის შესრულების მიზნით ადვოკატის შეუფერხებლად გადაადგილების [ნესი](#). კერძოდ, საქართველოს მთავრობის #204 დადგენილების თანახმად, საგანგებო მდგომარეობის ვადით ჩერდება ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა, გარდა * საადვოკატო საქმიანობისა A□ ამავე დადგენილების მიხედვით, გადაადგილების შეზღუდვა არ ვრცელდება ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებულ სიაში მყოფ იმ პირებზე/მათ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა გადაადგილებაც კრიტიკულად აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

შესაბამისად, თუკი საგანგებო მდგომარეობის ვადით 21:00 საათიდან 06:00 საათამდე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წესით პირის დაკავების შემთხვევაში, დაკავებული პირი საჭიროებს ადვოკატის დახმარებას, დაუშვებელია, მისთვის ადვოკატის ყოლის უფლების შეზღუდვა კომენდატი საათის მოქმედების საფუძვლით.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საია მოუწოდებს:

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს - დროულად ჩაატაროს ეფექტიანი, ობიექტური და მიუკერძოებელი გამოძიება სამართალდამცავი პირების ქმედებებში სავარაუდო დანაშაულის ნიშნების გამოკვეთისა და მათთვის პასუხისმგებლობის სათანადო ზომების დაკისრების მიზნით.

შინაგან საქმეთა მინისტრს:

- გააკეთოს მკაფიო განცხადება აღნიშნულ ფაქტზე და მოუწოდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში დასაქმებულ პირებს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განუხრელად დაიცვან საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული უფლებები;
- სამინისტროს სტრუქტურაში დასაქმებულ პირებს მიეცეთ მკაფიო მითითება, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფის პროცესში არ იმოქმედონ ფორმალურად და გაითვალისწინონ ინდივიდუალური გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამორიცხავდეს პირისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებას.
- გაატაროს პრევენციული ზომები, რათა დაკავებულ პირებს არ შეეზღუდოთ ადვოკატის ყოლის უფლება.

ფოტო ბათუმელები